

მე-10 კლასის საგამოცდო პროგრამა ინგლისურ ენაში

ინგლისურ ენაში მე-10 კლასის ბოლოს ჩასატარებელი გამოცდის შინაარსი და სირთულის დონე ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ – საგნობრივ პროგრამას უცხოურ ენებში და პროგრამის შინაარსს ინგლისურ ენაში.

საგამოცდო ტესტში წარმოდგენილი საკითხების სირთულის დონე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ საბაზო - საშუალო საფეხურის სV/სVI დონეებს და ევროსაბჭოს მიერ დადგენილ ენის ფლობის B^{1.3}/B^{1.4} დონეს.

ტესტი შედგება ოთხი სახის დავალებისაგან. ესენია:

1. დავალებები, რომლებიც ამოწმებს გრამატიკულ ცოდნას.
2. დავალებები, რომლებიც ამოწმებს ლექსიკურ ცოდნას.
3. დავალებები, რომლებიც ამოწმებს სამეტყველო ფუნქციებს.
4. დავალებები, რომლებიც ამოწმებს განსხვავებული ზომის, შინაარსის და ფორმატის ტექსტის (წერილი, განცხადება, ინფორმაციული სახის ტექსტი, დიალოგი, ა.შ) წაკითხვას და მასში მოცემული ზოგადი აზრის ან დეტალების გააზრებას.

გრამატიკული საკითხების და ლექსიკის შემოწმება მოხდება კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით.

დავალებების ტიპი არის მრავალჯერადი არჩევანი; მოსწავლე კომპიუტერის ეკრანზე კითხულობს დავალებას და ოთხი შესაძლო პასუხიდან აღნიშნავს ერთს.

ტესტში შემავალი საკითხების სავარაუდო რაოდენობა არის 50.

გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი

- Nouns: proper, common, countable/ uncountable. Case, number.
- Articles: indefinite, definite, zero.
- Adjectives: degrees of comparison, adjectives of quantity
- Adverbs: degrees of comparison, adverbs of frequency, degree, manner and time
- Numerals: cardinal, ordinal.
- Pronouns: possessive, interrogative, indefinite, reflexive, relative
- Verbs: regular/irregular; main/auxiliary; modal; phrasal
- Non-finite forms of the verbs and related constructions
- Tense forms in Active voice: Present Simple, Past Simple, Future Simple
Present Continuous, Past Continuous
Present Perfect, Past Perfect
- Tense forms in Passive voice: Present Simple, Past Simple, Future simple, Present Perfect
- Prepositions of time, place and direction.
- Conjunctions: subordinating and coordinating: and, but, so, etc.
- Sentence types : simple, compound and complex sentences
- Conditionals: zero, 1 and 2
- Word order
- Direct and indirect speech
- Wordbuilding (words with suffixes and prefixes)
- Structures: there is/there are, to be going to.
- Types of Questions: Wh- questions, Yes/No questions, Tag questions

